

არის თუ არა კავშირში მშობლების განქორწინება მოზარდთა ემოციურ მდგომარეობასა და აკადემიური მოსწრების ხარისხთან?

ლოიზა არუთინოვა, ლიკა ბუწაშვილი

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 1; barutiunov@hotmail.com
2. "საქართველოს ბავშვები"; საქართველო, ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მიკრო-რაიონი, I კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 4; lika.butsashvili@yahoo.com

ანოტაცია

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა მშობლების განქორწინების კავშირის შესწავლას მოზარდთა ემოციურ მდგომარეობასა და მათ სასწავლო საქმიანობასთან გაურკვეველი დანაკარგის თეორიის ჩარჩოში. შევეცადეთ სხვადასხვა ასპექტით (ემოციური მახასიათებლები - დეპრესია, შფოთვა; აკადემიური მოსწრება და საზღვრების გაურკვეველობა) გვეკვლია განქორწინებული მშობლების შვილები სრული ოჯახის შვილებთან მიმართებაში.

ტერმინი "განქორწინებული მშობლები" გულისხმობს მშობლებს, რომლებიც კვლევის ჩატარების მომენტისთვის განქორწინებულნი იყვნენ (ოფიციალურად ან არაოფიციალურად). "სრული ოჯახი" ჩვენი კვლევის ფარგლებში მოიაზრებს ნებისმიერი ტიპის ოჯახს, სადაც მშობლები არ არიან განქორწინებულნი (შესაძლოა, მშობლები იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლილი იყოს, ან არც ერთი მშობელი არ იყოს სახეზე და სხვ.).

კვლევის მონაწილეებს შეადგენენ მე-8 და მე-10 კლასის მოზარდები, რომელთა ასაკი მერყეობს 13-დან 16 წლის ჩათვლით. გამოვიკვლიეთ 681 მოზარდი, მათგან 95 - განქორწინებული მშობლების შვილები არიან, 586 კი - სრული ოჯახის შვილები. კვლევამ მოიცვა თბილისის 6 სკოლა. იგი ჩატარდა 2011 წლის აპრილი-მაისის თვეებში. კვლევის ინსტრუმენტებად გამოყენებულია ბეკის დეპრესიის კითხვარი; რეინოლდისა და რიჩმონდის ბავშვთა მანიფესტირებული შფოთვის სკალის რევიდირებული ვერსია - "რას ვფიქრობ და რას ვგრძნობ"; პოლინ ბოსის საზღვრების გაურკვეველობის საკვლევი კითხვარი; აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები კი ეფუძნება სემესტრულ ქულებს სასკოლო საგნებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანობაში, მშობლების განქორწინება უკავშირდება მათი მოზარდი შვილების მეტ პრობლემებს ემოციურ სფეროსა და აკადემიურ მოსწრებაში სრული ოჯახის მოზარდ შვილებთან შედარებით.

მოზარდი გოგონები უფრო მოწყვლადნი არიან მშობლების განქორწინების უარყოფითი ეფექტის მიმართ, ვიდრე ბიჭები. ასაკის მატებასთან ერთად, განქორწინებული მშობლების მოზარდ შვილებთან შფოთვის ერთ-ერთი გამოვლინება - ზემგრძნობიარობა უფრო გამოხატული ხდება. განქორწინებული მშობლების მოზარდი შვილების მიერ საკუთარი ოჯახის საზღვრების აღქმა,

როგორც გაურკვეველის, ბუნდოვანის, დადებით კავშირშია დეპრესიასა და შფოთვისთან.

საკვანძო სიტყვები: განქორწინებული მშობლების მოზარდი შვილები, სრული ოჯახის მოზარდი შვილები, გაურკვეველი დანაკარგი, დეპრესია, შფოთვა, აკადემიური მოსწრება, საზღვრების გაურკვეველობა

ოჯახი რთული, მრავალპლანიანი ფენომენია, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობათა და მოვალეობათა, ოჯახური როლებიდან გამომდინარე მოლოდინებისა და კონტროლის მექანიზმთა, პიროვნებათა შორის ურთიერთობების მთელ კომპლექსს.

ოჯახის დაშლით გამოწვეული ამ მთლიანობის რღვევა მის ყველა წევრზე და, განსაკუთრებით, ბავშვებზე აისახება. ცნობილია, რომ ამგვარი ოჯახები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, როგორცაა აღმზრდელობითი ზემოქმედების ცალმხრივობა, მშობელთა გრძნობების გამოვლენის დაუბალანსებლობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახების დაშლის შემთხვევები საკმაოდ ხშირია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა თავისებურებებით ხასიათდებიან ამგვარი ოჯახების შვილები, მეტად მცირეა ამ საკითხების შესასწავლად ჩატარებული კვლევების რიცხვი. განსაკუთრებით ეს ითქმის შრომებზე, რომლებშიც ნაცადია უშუალოდ არასრული ოჯახების შვილების შესწავლა სათანადო ინსტრუმენტების დახმარებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

სუსან ბრაუნი (Susan L. Brown) თავის სტატიაში მიმოხილავს 2000 წლის შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებსა და კვლევებს, რომლებიც განქორწინების საკითხებს ეძღვნება. სტატიის თანახმად, უკანასკნელი წლების მანძილზე იზრდება ბავშვის კეთილდღეობაზე ქორწინების დადებითი ეფექტის დამადასტურებელი ფაქტები. ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ორი, დაქორწინებული ბიოლოგიური მშობლის ოჯახში, უკეთესი სოციალური, კოგნიტური, ქცევითი და აკადემიური შედეგები აქვთ მათ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც იზრდებიან სხვა ფორმის ოჯახებში [1]. რამდენიმე მკვლევარი კიდევ უფრო აკონკრეტებს საკითხს და აცხადებს, რომ ბავშვები და მოზარდები, რომელთა მშობლებიც განქორწინებულნი არიან, ავლენენ უფრო ცუდ შედეგებს მათ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც ცხოვრობენ სტაბილურ ოჯახში, სადაც ბიოლოგიური მშობლები დაქორწინებულნი არიან. ეს შედეგი ეხება კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტს (Sun&Li, 2002; Videon, 2002) [1].

რამდენიმე მკვლევარი იშველიებს კვლევების მონაცემებს და გვამცნობს, რომ მშობლების განქორწინების შემდეგ მრავალ ბავშვს აღენიშნება დეპრესიის, შფოთვის სიმპტომები; მათ ესაზღვრებათ კომმარები, ავლენენ აგრესიას, აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ნარკოტიკებზე დამოკიდებულება (Barber & Demo, 2006; Kelly & Emergy, 2003; Knox, 2000) [2].

ამატო (Amato) აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმეტესობასთან ეს სიმპტომები აღმოიფხვრება რამდენიმე წლის შემდეგ, განქორწინებას შესაძლოა

ჰქონდეს გრძელვადიანი გავლენა და აღნიშნული პრობლემები ინდივიდებს გაჰყვით მოწიფულობის ასაკშიც (Amato, 1999) [2].

ჰელენ ჰანსაგი, ლენა ბრანდო და სვენ ანდრესონი (Helen Hansagi, Lena Brando & Sven Andreasson) გვაცნობენ შვედი ახალწვეული მამაკაცების ლონგიტუდური კვლევის მონაცემებს, სადაც მშობლების განქორწინება უკავშირდებოდა უფრო დაბალ ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას მოზარდობაში და უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, ფსიქიატრიული დაავადებების (ალკოჰოლიზმი და შიზოფრენია) და სიკვდილიანობის უფრო მაღალ მაჩვენებელს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, რომელსაც შეადგენდნენ შვილები, რომელთა მშობლები არ იყვნენ განქორწინებულნი [3].

კვლევების მიხედვით, მშობლების განქორწინების მომენტისათვის ბავშვის ასაკი სახელდება მომავალში სხვადასხვა ნეგატიური შედეგის პრედიქტორად. კერძოდ, მშობლების განქორწინება ადრეული ბავშვობის პერიოდში უკავშირდება მოზარდობაში -14 წლის ასაკში შვილის შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომების მცირე, მაგრამ გაზრდილ რისკს. ამასთან, გოგონები მნიშვნელოვნად მეტად არიან მიდრეკილნი დეპრესიისა და შფოთვის სიმპტომებისკენ, ვიდრე ბიჭები [4].

მკვლევრები საუბრობენ მშობლების განქორწინების შემდეგ შვილების მიერ გამოვლენილ სიმპტომთა სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ მშობლების განქორწინება უფრო მეტად უკავშირდება დეპრესიულ სიმპტომებს შუა მოზარდობაში გოგონებთან, ვიდრე შუა მოზარდობის ბიჭებთან და ადრეულ მოზარდებთან. მშობლების განქორწინების შედეგები დაახლოებით მსგავსია გოგონებთან და ბიჭებთან 10 წლის ასაკისთვის. გენდერული განსხვავებები იზრდება მოზარდობის განმავლობაში. მშობლების განქორწინებასა და ბიჭების დეპრესიის სიმპტომებს შორის კავშირი არ იცვლება ასაკის მიხედვით. გოგონები ასაკის მატებასთან ერთად უფრო სენზიტიურები ხდებიან მშობლების განქორწინების დეპრესიული ეფექტის მიმართ [5].

როგორც ამ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურიდან ირკვევა, მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს მშობელთა განქორწინებასა და მათი შვილების ემოციონალურ მდგომარეობასა და, ზოგადად, მათ ფსიქოლოგიურ სტატუსს შორის.

გაურკვეველი დანაკარგი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა მშობლების განქორწინების კავშირის შესწავლას მოზარდთა ემოციურ მდგომარეობასა და მათ სასწავლო საქმიანობასთან გაურკვეველი დანაკარგის თეორიის ჩარჩოში.

აღნიშნული თეორიის ავტორის, პოლინ ბოსის (Pauline Boss) თანახმად, გაურკვეველი დანაკარგი ყველაზე უმართავი და მატრავმირებელი სიტუაციაა ყველა სხვა დანარჩენ სტრესორს შორის [6]. ბუნდოვანი დანაკარგის სიტუაცია ესაა მდგომარეობა, როდესაც უცნობია საყვარელი ობიექტი შენთანაა თუ არა, დალუპულია ის თუ ცოცხალი. იგი წარმოშობს გრძელვადიან გაურკვეველობას ზოგადად ოჯახის სტრუქტურასა და მის საზღვრებთან დაკავშირებით - გაურკვეველია, თუ კონკრეტულად ვინ უნდა ჩათვალოს ადამიანმა თავისი ოჯახის წევრად. დანაკარგთან დაწყვილებული გაურკვეველობა რთულად დასაძლევია პრობლემაა, რომელიც იწვევს ემოციური ხასიათის დარღვევებს,

პიროვნებათმორის კონფლიქტებს. ამ მდგომარეობას სიმწვავეს მატებს ისიც, რომ პრობლემა სიტუაციაშია, მის ობიექტურ მოცემულობაში და არა ინდივიდსა და მის სისუსტეში [7].

ბოსი გამოყოფს გაურკვეველი დანაკარგის ორ ტიპს:

ფიზიკურად შენ გვერდით არარსებობა & ფსიქოლოგიურად არსებობა – საყვარელი ობიექტი ფიზიკურად არაა შენ გვერდით. ასეთი დანაკარგის უკიდურესი მაგალითები მოიცავს ომის, ტერორიზმის, ეთნიკური წმენდის, გენოციდის ან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გაუჩინარებულ ადამიანებს. უფრო ჩვეულებრივი მაგალითებია განქორწინების შედეგად სახლიდან წასული მშობელი, ნაშვილები ბავშისთვის ბიოლოგიური მშობლის, ან ბიოლოგიური მშობლისთვის გაშვილებული ბავშვის ფიზიკური არარსებობა მის გვერდით.

ფსიქოლოგიურად არარსებობა & ფიზიკურად შენ გვერდით არსებობა – ადამიანი ემოციურად ან კოგნიტურად არ არის შენ გვერდით. გაურკვეველი დანაკარგის ამ ტიპის მაგალითებია ოჯახის წევრი ისეთი ქრონიკული გონებრივი ან ფიზიკური დაავადებით (დემენცია, აუტიზმი, დეპრესია და სხვ.), რომელიც აქვეითებს მეხსიერებას და ემოციის გამოხატვის უნარს. უფრო ჩვეულებრივი მაგალითებია ოჯახის წევრის ზედმეტად გადატვირთვა სამსახურის საქმეებით და ნოსტალგია (რაც, ხშირად, მიგრაციით არის განპირობებული).

მშობლების განქორწინება, როგორც გაურკვეველი დანაკარგი

მშობლების განქორწინება მიეკუთვნება გაურკვეველი დანაკარგის პირველ ტიპს, რომელიც გულისხმობს საყვარელი ადამიანის ფიზიკურად შენ გვერდით არყოფნასა და ფსიქოლოგიურად ყოფნას: განქორწინების შედეგად მშობელი, რომელიც შვილის ფსიქოლოგიური ოჯახის ნაწილია, როგორც წესი, გადადის სხვაგან საცხოვრებლად. ამ შემთხვევაში, სახლიდან წასული მშობელი ფიზიკურად აღარ არის შვილის გვერდით, მაგრამ კვლავ რჩება მისი ფსიქოლოგიური ოჯახის ნაწილად.

ხშირად, სახლში დარჩენილი მშობელი, სტრესის გამო, ვერ ახერხებს შვილის გვერდით ფსიქოლოგიურად ყოფნას. ასეთ შემთხვევაში, გაურკვეველი დანაკარგის პირველი ტიპის პარალელურად, იკვეთება მეორე ტიპიც - საყვარელი ადამიანი ფიზიკურად შენ გვერდით არის, მაგრამ ფსიქოლოგიურად - არა.

საკვლევი ცვლადები

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევეცადეთ სხვადასხვა ასპექტით (კონტროლის ლოკუსი, გარკვეულობის მოთხოვნილებების თავისებურებები, დეპრესიის, შფოთვის დონე, საზღვრების გაურკვეველობა, აკადემიური მოსწრება) გვეკვლია განქორწინებული მშობლების შვილები სრული ოჯახის შვილებთან მიმართებაში. თუმცა, ამ ნაშრომის ფარგლებში წარმოგიდგინთ მხოლოდ იმ შედეგებს, რომლებიც შეეხება მათ ემოციურ მახასიათებლებს, აკადემიურ მოსწრებასა და საზღვრების გაურკვეველობას.

საკვლევ ცვლადებს წარმოადგენს შფოთვისა და დეპრესიის დონე, საზღვრების გაურკვეველობა და აკადემიური მოსწრება.

კვლევის მეთოდური ნაწილი

კვლევის მონაწილეებს შეადგენენ მე-8 და მე-10 კლასის მოზარდები, რომელთა ასაკი მერყეობს 13-დან 16 წლის ჩათვლით. გამოვიკვლიეთ 681 მოზარდი, მათგან 95 - განქორწინებული მშობლების შვილები არიან, 586 კი - სრული ოჯახის შვილები.

კვლევამ მოიცვა თბილისის 6 სკოლა: #23, #63, #55, #1, #24 საჯარო სკოლები და სკოლა-ლიცეუმი "მწიგნობართუხუცესი". იგი ჩატარდა 2011 წლის აპრილი-მაისის თვეებში.

კვლევის ინსტრუმენტებად გამოყენებულია:

- ბეკის დეპრესიის კითხვარი (The Beck Depression Inventory). იგი შედგება 21 დებულებისგან პასუხების მრავლობითი არჩევნით;
- რეინოლდისა და რიჩმონდის ბავშვთა მანიფესტირებული შფოთვის სკალის რევიდირებული ვერსია - "რას ვფიქრობ და რას ვგრძნობ" (WITF - What I Think and Feel, Reynolds and Richmond, 1978). მოიცავს 3 სუბსკალას: ფიზიოლოგიური შფოთვა (შფოთვის ფიზიოლოგიური მანიფესტაციები); მღელვარება (წუხილი) და ზემგრძნობიარობა; სოციალური ურთიერთობები და კონცენტრაცია. კითხვარში ჩართულია სიცრუის სკალა [8].
- საზღვრების გაურკვევლობა (Boundary Ambiguity Scale for adolescent and adult children of divorce; Debra_Pearce McCall & Pauline Boss). მოცემული ინსტრუმენტი აფასებს აპლიკანტის მიერ საკუთარი ოჯახის საზღვრების აღქმას, როგორც გარკვეულის თუ გაურკვევლის. კითხვარი შედგება 25 დებულებისგან და იყოფა 2 ბლოკად: პირველ ბლოკს ავსებს კვლევის მონაწილე, რომლის მშობლები განქორწინებულნი არიან; მეორე ბლოკს კი, მათგან მხოლოდ ისინი ავსებენ, რომელთა მშობლებიდან ერთ-ერთი მაინც ხელახლა დაოჯახდა, ან ცხოვრობს პარტნიორთან ერთად მინიმუმ ერთი წლის მანძილზე [9].
- აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები ეფუძნება სემესტრულ ქულებს შემდეგ საგნებში: ქართული, მათემატიკა, უცხო ენა (ინგლისური, რუსული, ფრანგული), ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ხელოვნება, სამოქალაქო განათლება/აღზრდა, მუსიკა, შრომა და ინფორმატიკა.
- შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის მეშვეობით. შედეგები გაანალიზდა როგორც ერთობლივად, ისე მოზარდების ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.

შედეგები

მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები განქორწინებული და სრული ოჯახის შვილების ემოციური და აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს შორის. აღსანიშნავია, რომ ამავე პარამეტრების მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა საკუთრივ განქორწინებული მშობლების შვილებს შორისაც მათი მონაცემების შედარებისას სქესის გათვალისწინებით. განქორწინებულ მშობელთა შვილების ე.წ. საზღვრების გაურკვევლობის განცდის ხარისხი დადებითად კორელირებს მათი ემოციური მდგომარეობის სიმძიმესთან.

განქორწინებული მშობლების შვილები გამოირჩევიან დეპრესიისა და შფოთვის ერთ-ერთი გამოვლინების (ფიზიოლოგიური შფოთვის) უფრო მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე სრული ოჯახის შვილები. კერძოდ, განქორწინებული მშობლების შვილების

დეპრესიის საშუალო მაჩვენებელი ($M=32.1$, $SD=5.98$) სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე აღემატება სრული ოჯახის შვილების შესაბამის მაჩვენებელს ($M=30.7$, $SD=5.7$), $t=-2.3$, $p<0.05$. ასევე მათი ფიზიოლოგიური შფოთვის საშუალო მაჩვენებელი ($M=3.4$, $SD=2.3$) სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე აღემატება სრული ოჯახის შვილების შესაბამის მაჩვენებელს ($M=2.9$, $SD=1.9$), $t=-2.1$, $p<0.05$.

ემოციურ სფეროში გამოვლენილი ეს ტენდენციები განსაკუთრებით მკაფიო და ინტენსიური ხასიათით გამოირჩევა განქორწინებული მშობლების შვილ გოგონებთან. სრული ოჯახის შვილ გოგონებთან შედარებით, მათ დეპრესიის ($M=33.3$, $SD=4.8$ წინააღმდეგ $M=31.1$, $SD=5.6$ სრული ოჯახის შვილ გოგონებთან, $t=-2.9$, $p<0.01$), ზოგადად შფოთვის ($M=12.7$, $SD=4.6$ წინააღმდეგ სრული ოჯახის შვილი გოგონების $M=11.1$, $SD=4.4$), $t=-2.5$, $p<0.05$) და შფოთვის ორი სკალის – ფიზიოლოგიური შფოთვის ($M=3.8$, $SD=2.3$ წინააღმდეგ სრული ოჯახის შვილი გოგონების $M=3.1$, $SD=1.8$, $t=-2.2$, $p<0.05$) და ზემგრძნობიარობის ($M=6.8$, $SD=1.8$ წინააღმდეგ სრული ოჯახის შვილი გოგონების $M=6.1$, $SD=2.01$), $t=-2.5$, $p<0.05$) უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ.

განქორწინებული მშობლებისა და სრული ოჯახის შვილ ბიჭებს შორის განსხვავებები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არც დეპრესიისა და არც შფოთვის მაჩვენებლების მიხედვით.

განქორწინებული მშობლების შვილებთან დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლების მიხედვით მნიშვნელოვანი სქესთა შორის განსხვავებები გამოვლინდა. განქორწინებული მშობლების შვილ გოგონებთან, ბიჭებთან შედარებით, უფრო მაღალია დეპრესიის ($M=33.3$, $SD=4.8$ წინააღმდეგ ბიჭების $M=30.5$, $SD=7.02$, $t=+2.3$, $p<0.05$), ზოგადად შფოთვის ($M=12.7$, $SD=4.6$ წინააღმდეგ ბიჭების $M=9.6$, $SD=5.09$, $t=+3.1$, $p<0.01$), ფიზიოლოგიური შფოთვის ($M=3.8$, $SD=2.3$ წინააღმდეგ ბიჭების $M=2.8$, $SD=2.2$), $t=+2.04$, $p<0.05$) და ზემგრძნობიარობის ($M=6.8$, $SD=1.8$ წინააღმდეგ ბიჭების $M=4.9$, $SD=2.3$), $t=+4.5$, $p<0.01$) მაჩვენებლები.

განქორწინებული მშობლების შვილებთან დეპრესიასა და შფოთვისას შორის მაღალი დადებითი კავშირია ($r=0.5$, $p<0.01$).

მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა განქორწინებული მშობლებისა და სრული ოჯახის შვილების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს შორის. აღმოჩნდა, რომ სრული ოჯახის შვილებს, განქორწინებული მშობლების შვილებთან შედარებით, უფრო მაღალი სემესტრული მაჩვენებლები აქვთ თითქმის ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინაში:

- ქართულ ენასა და ლიტერატურაში ($M=7.8$, $SD=2.2$ სრული ოჯახის შვილებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლების შვილების $M=7.2$, $SD=2.7$), $t=+2.2$, $p<0.05$;
- მათემატიკაში ($M=6.9$, $SD=2.3$ სრული ოჯახის შვილებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლებთან შვილების $M=6.3$, $SD=2.6$), $t=+2.5$, $p<0.05$;
- გეოგრაფიაში ($M=7.3$, $SD=2.2$ სრული ოჯახის შვილებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლებთან შვილების $M=6.6$, $SD=2.6$), $t=+2.9$, $p<0.01$;
- ბიოლოგიაში ($M=7.3$, $SD=2.3$ სრული ოჯახის შვილებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლებთან შვილების $M=6.4$, $SD=2.6$), $t=+3.4$, $p<0.01$;

- ფიზიკაში ($M=6.7$, $SD=2.3$ სრული ოჯახის შვილებთან წინააღმდეგ განქორწინებულ მშობლების შვილების $M=6.1$, $SD=2.6$), $t=+2.6$, $p<0.01$;
- ხელოვნებაში ($M=5.4$, $SD=4.5$ სრული ოჯახის შვილებთან წინააღმდეგ განქორწინებულ მშობელთა შვილების $M=4.2$, $SD=4.5$), $t=+2.5$, $p<0.05$.
- აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც დადასტურდა ის ტენდენცია, რომელიც სტაბილურად იკვეთება მონაცემთა ანალიზისას მოზარდთა სქესის გათვალისწინებით. განსხვავება სრული ოჯახისა და განქორწინებული მშობლების ვაჟიშვილების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს შორის ვერ აღწევს სტატისტიკურად სანდო დონეს, მაშინ როდესაც გოგონებთან ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია თითქმის ყველა ზემოთ მითითებულ საგანში:
- ქართულ ენასა და ლიტერატურაში ($M=8.4$, $SD=1.8$ სრული ოჯახის შვილ გოგონებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლების შვილი გოგონების $M=7.7$, $SD=2.6$), $t=+2.5$, $p<0.05$; გეოგრაფიაში ($M=7.7$, $SD=2.04$ სრული ოჯახის შვილ გოგონებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლების შვილი გოგონების $M=6.8$, $SD=2.7$), $t=+2.9$, $p<0.01$; ბიოლოგიაში ($M=7.8$, $SD=2.1$ სრული ოჯახის შვილ გოგონებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლების შვილი გოგონების $M=6.7$, $SD=2.6$), $t=+3.7$, $p<0.01$; ფიზიკაში ($M=7.1$, $SD=2.2$ სრული ოჯახის შვილ გოგონებთან წინააღმდეგ განქორწინებული მშობლების შვილი გოგონების $M=6.4$, $SD=2.5$), $t=+2.4$, $p<0.05$).
- განქორწინებულ მშობელთა შვილების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების ანალიზმა მოზარდთა სქესის გათვალისწინებით გვიჩვენა, რომ გოგონებს, ბიჭებთან შედარებით, უფრო მაღალი სემესტრული მაჩვენებლები აქვთ შემდეგ საგნებში:
- ქართულ ენასა და ლიტერატურაში ($M=7.7$, $SD=2.6$ წინააღმდეგ ბიჭების $M=6.5$, $SD=2.6$, $t=+2.3$, $p<0.05$); მათემატიკაში ($M=6.7$, $SD=2.6$ წინააღმდეგ ბიჭების $M=5.7$, $SD=2.4$), $t=+2.01$, $p<0.05$); ისტორიაში ($M=7.9$, $SD=2.5$ წინააღმდეგ ბიჭების $M=6.8$, $SD=2.6$, $t=+2.1$, $p<0.05$).
- განქორწინებულ მშობელთა შვილების დეპრესიის, შფოთვისა და საზღვრების გაურკვევლობის მონაცემთა შედარებისას მოზარდთა ასაკის მიხედვით გაირკვა, რომ 16 წლის მოზარდების ზემგრძნობიარობის საშუალო მაჩვენებელი ($M=6.8$, $SD=1.9$) სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე აღემატება 14 წლის ბავშვების შესაბამის მაჩვენებელს ($M=4.94$, $SD=2.5$).
- **დასკვნები**
- ამრიგად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:
- მთლიანობაში, მშობლების განქორწინება უკავშირდება ემოციურ სფეროში მეტ პრობლემებს და უფრო დაბალ აკადემიურ მოსწრებას, ვიდრე ეს სრული ოჯახის შვილებთან აღინიშნება;
- მოზარდი გოგონები ამ მხრივ უფრო მოწყვლადნი არიან – განქორწინებული მშობლების შვილ გოგონებს აღენიშნებათ დეპრესიისა და შფოთვის უფრო

- მაღალი მაჩვენებლები არა მარტო სრული ოჯახების შვილ გოგონებთან, არამედ აგრეთვე არასრული ოჯახების შვილ ბიჭებთან შედარებით;
- განსხვავებული ვითარება აღინიშნება აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით: განქორწინებული მშობლების შვილ გოგონებს უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ სრული ოჯახის შვილ გოგონებთან შედარებით, თუმცა უფრო მაღალი, ვიდრე არასრული ოჯახების შვილ ბიჭებს;
 - განქორწინებული მშობლების მოზარდ შვილებთან დეპრესია და შფოთვა ერთნაირი მიმართულებით ვარირებს, რაც გულისხმობს, რომ დეპრესიის მაღალი მაჩვენებლების არსებობისას, როგორც წესი, გვხვდება შფოთვის აგრეთვე მაღალი დონე და პირიქით;
 - ასაკის მატებასთან ერთად, განქორწინებული მშობლების მოზარდ შვილებთან, შფოთვის ერთ-ერთი გამოვლინება - ზემგრძნობიარობა უფრო მეტი ინტენსივობით გამოირჩევა.
 - განქორწინებული მშობლების მოზარდი შვილის მიერ საკუთარი ოჯახის საზღვრების, როგორც გაურკვეველის, ბუნდოვანის, აღქმა დადებით კავშირშია დეპრესიასა და შფოთვისასთან; ასევე ფიზიოლოგიურ შფოთვისას, ზემგრძნობიარობასა და სოციალურ ურთიერთობაში შფოთვისასთან.

მშობლების განქორწინება შვილებისთვის გაურკვეველი დანაკარგია, რადგან ოჯახიდან წასული მშობელი მათთვის ერთდროულად არსებობს და არც არსებობს, რაც ძლიერ მატრამვირებელი ვითარებაა. ამის დასტურად გამოგვადგება წარმოდგენილი კვლევის შედეგები: განქორწინებულ მშობელთა მოზარდი შვილების ემოციური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, განსაკუთრებით ეს ეხება შფოთვითი ხასიათის დარღვევებს. ამ კატეგორიის ბავშვების სასკოლო საგნებში სემესტრული ქულები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სრული ოჯახების მოზარდი შვილების შესაბამის მაჩვენებლებს და ამ მხრივ ყველაზე უფრო მოწყვლადნი აღმოჩნდნენ განქორწინებული მშობლების შვილები.

მშობლების განქორწინება უკავშირდება ცვლილებებს მოზარდის არამხოლოდ ოჯახის სტრუქტურაში, არამედ აგრეთვე აისახება სახლს გარეთ სიტუაციებზეც. ამის მიზეზს წარმოადგენს მშობლების განქორწინების შედეგად მოზარდთა ფსიქოსოციალურ მახასიათებლებში მომხდარი ცვლილებები.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განქორწინებული მშობლების შვილები საჭიროებენ გარკვეულ ფსიქოლოგიურ დახმარებას როგორც მათ ემოციური მდგომარეობის, ისე სასწავლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. მნიშვნელოვანია განქორწინებული მშობლების შვილების მიმართ ადეკვატური მოლოდინების სისტემის ფორმირება; იმის გაცნობიერება, რომ ამ კატეგორიის მოზარდებს, თანატოლებისგან განსხვავებით, ემოციურ სფეროში მეტი სირთულე აქვთ და აკადემიურ მოსწრებაში უარესი მაჩვენებლები. გამომდინარე აქედან, მეტად ფრთხილი მუშაობის დაგეგმვაა საჭირო როგორც მშობლების, ისე სკოლის თანამშრომლებისა და იმ სპეციალისტების მხრიდან, რომელთაც ამ მოზარდებთან მოუწევთ მუშაობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brown Susan L.; Marriage and Child Well-Being: Research and Policy Perspectives; Journal of Marriage and Family 72 (October 2010): 1059 - 1077;
2. Weiten Wayne, Margaret A. Lloyd, Dana S. Dunn, Elizabeth Yost Hammer; Psychology applied to modern life adjustment in the 21st century, ninth edition, 2009;
3. Hansagi Helen, Lena Brando, Sven Andreasson; Parental divorce: psychosocial well-being, mental health and mortality during youth and young adulthood; A longitudinal study of Swedish conscripts;
4. Spence Susan H., Jake M. Najman, Willian Bor, Michael J. O'Callaghan, and Gail Williams; Maternal Anxiety and Depression, Poverty and Marital Relationship Factors During Early Childhood as Predictors of Anxiety and Depressive Symptoms in Adolescence; The University of Queensland, Australia; Journal of Child Psychology and Psychiatry (2002) 43 (4): 457-469;
5. Oldehinkel Albertine J., Johan Ormel, Rene' Veenstra, Andrea F. De Winter, Frank C. Verhulst; Parental Divorce and Offspring Depressive Symptoms: Dutch Developmental Trends During Early Adolescence; Journal of Marriage and Family 70 (May 2008): 284 - 293;
6. Boss Pauline; Ambiguous Loss, Learning to live with unresolved grief, 1999;
7. Boss Pauline; Loss, Trauma and Resilience, Therapeutic Work With Ambiguous Loss, W.W. Norton & Company, 2006;
8. Reynolds R. Cecil, Bert O. Richmond; Factor Structure and Construct Validity of the revised Children's Manifest Anxiety Scale, 1978;
9. Boss Pauline G., Jan R. Greenberg, Debra Pearce-McCall; Measurement of Boundary Ambiguity in Families, University of Minnesota, Station Bulletin 593-1990 (Item No. AD-SB-3763).

Article received: 2011-12-23